**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**
**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2021 წლის 16 ივლისი**

**დისციპლინური საქმე №197/19**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 27 ნოემბრის №197 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და $75^6$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 7 თებერვლის №197/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლემ 2019 წლის 12 ნოემბრის სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სიტყვა მსჯავრდებული გამოიყენა კნინობით ფორმაში. მოსამართლე სხდომაზე აძლევდა შენიშვნებს მსჯავრდებულს და გამოირჩეოდა მის მიმართ უპატივცემულო და დისკრიმინაციული გამონათქვამებით.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- -- მსჯავრდებულ -- -- და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -- --, მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველი ადვოკატის -- --, მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველი ადვოკატის -- -- და მსჯავრდებულ -- -- და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის -- --, ასევე -- პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორების -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრები განსახილველად დაეწერა 2019 წლის 18 თებერვალს. 2019 წლის 22 თებერვალის განჩინებით აღნიშნული სააპელაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 21 მარტს 15:00 საათზე.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- -- 2019 წლის 27 ნოემბრის №197 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობა) განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

**4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს, კერძოდ კი „ვ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კეთილსინდისიერების (გულისხმიერების) კრიტერიუმის სწორედ ერთ-ერთი მახასიათებელია მოსამართლეთა პიროვნული და პროფესიული ქცევა, რომელთა მიხედვითაც ხდება მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა.

ბანგალორის პრინციპების მიხედვით კომპეტენცია და გულისხმიერება წარმოადგენენ სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვანი განხორციელების წინაპირობას. მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.[1]

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა. იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისგან მოითხოვოს კორექტური დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს უნდა სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან.[2]

2019 წლის 12 ნოემბრის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტები:

სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა -- -- უკმაყოფილება გამოთქვა, რომ სასამართლოს მიერ გაგზავნილი სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერი არ იხსნებოდა, მან ამის შესახებ წერილობით აცნობა სასამართლოს 9 ოქტომბერს, თუმცა ამას რეაგირება არ მოჰყოლია. მოსამართლემ ამის პასუხად განაცხადა, რომ მისთვის აღნიშნულის შესახებ ცნობილი არ იყო, რადგან იგივე დისკი რამოდენიმე კომპიუტერში გასინჯეს და მხოლოდ ერთში არ გაიხსნა.

-- --:-ხოდა ორი კვირის უკან გითხარით არ იხსნება-თქო;
მოსამართლე -- --:-მოიცა, რა ტემბრით მელაპარაკებით ბატონო --, გამაგებინე ერთი რა, თქვენი მსჯავრდებული კი არ ვარ ან დაკავებული პირი...
-- --:-შეიძლება მსჯავრდებულს ასე ელაპარაკოთ?

---

[1] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები (მე-6 ღირებულება)
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf
[2] სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარები (გვ. 196, პუნქტი 215)
http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

მოსამართლე -- --:-პირველად თქვენ დაიწყეთ ასეთი ტემბრით...
მოსამართლე -- --:-იცით როგორი ტემბრით მელაპარაკებით? აი დაკავებულ პირებს რომ მიმართავენ როგორც წესი პოლიციელები.

მოსამართლე ზემოაღნიშნულ საუბარს წარმართავდა ხმამაღალი ტონით.

თუმცა ის გარემოებები და საერთო ფონი, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლემ გააკეთა სადავო განცხადებები, არ ქმნის იმ დასკვნის საფუძველს, რომ ან განზრახვა, ან სურვილი ჰქონდა მოსამართლეს მხარისთვის მიეყენებინა შეურაცხყოფა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს განმარტებას წინ უსწრებს დაცვის მხარის უკმაყოფილო კომენტარი, რის შემდეგაც სასამართლო პასუხობს განცხადებებს.

ამრიგად, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^1$ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

დისციპლინურ საქმეზე №197/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**